ლელო

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთი

2 დეკემბერი, კვირა, 1990 წ.
№ 229 (10 398) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ მუნიციპალური არჩევნების ჩატარებამდე, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხთა ადგილებზე დემოკრატიულად და საჯაროდ გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან შეიქმნას კომისიები რეგიონებში არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების მონაწილეობით.

კომისიებს ქმნიან და მათ შემადგენლობას არჩევენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები.

კომისიებმა ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად უნდა განახორციელონ ღონისძიებანი მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, სახალხო და სახელმწიფო ქონების განიავება-დატაცების აღსაკვეთად.

მუნიციპალური არჩევნების ჩატარებამდე და მიწის შესახებ ახალი კანონის მიღებამდე შეწყდეს სახელმწიფო კოოპერაციული ქონების ყიდვა-გაყიდვა და მოსახლეობისა და ორგანიზაციებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს გევალებათ შეუქმნათ კომისიებს მუშაობის სათანადო პირობები, გამოუყოთ სამუშაო ოთახები, უზრუნველყოთ ტრანსპორტით, კავშირგაბმულობის საშუალებებით და სხვა.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია**

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე**
**თ. სიგუა**

# იწვევენ ფედერაციის პრეზიდიუმი

**4 დეკემბერს** საქართველოს სპორტსახკომის სხდომათა დარბაზში ჩატარდება ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა.

სპორტის ამ ეროვნული სახეობის სპეციალისტთა გარდა, პრეზიდიუმის სხდომაზე იწვევს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებსაც, ჟურნალისტებს.

## „ფეხდაფეხ“ მიჰყვებიან

**საბჭოთა** კავშირის ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდები ინარჩუნებენ ლიდერობას იუგოსლავიის ქალაქ ნოვი-სადში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე. 12 ტურის შემდეგ მათ მოაგროვეს შესაბამისად 33 (1 გადადებული პარტია) და 29 (2) ქულა.

ქალთა გუნდების ტურნირში საბჭოთა კავშირის ნაკრებს 29 ქულით „ფეხდაფეხ“ მიჰყვებიან უნგრელები. მომდევნო ადგილებზე არიან ჩინელები — 24,5, ბულგარელები — 22,5 და იუგოსლავიელები (I გუნდი) — 21,5.

ვაჟებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს კოლუმბიელები, ინგლისელებმა ასეთივე ანგარიშით — შვედები; ამერიკელები აგებენ შეხვედრას იუგოსლავიის მეორე გუნდთან — 1:2 (ერთი პარტია დასამთავრებელია). ამჟამად მეორე ადგილზე გადაინაცვლეს ინგლისელებმა, რომელთაც 31 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვთ „თადარიგში“. ამერიკელები მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან.

## იყავით ფრთხილად!

**წლის ბოლო თვეში მაგნიტური დღეებია 2, 7, 16, 18, 29, 30 დეკემბერი, იყავით ფრთხილად!**

თბილისის II საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში სლავა მეტრეველის პრიზზე

# 500 ავტოგრაფი, ორი ჰეთ-ტრიკი...



**ამდენი** ავტოგრაფის მოყვარული ერთად, გადაგიტყდებით, ჩემს დღეში არ მინახავს. გამოვიდნენ თუ არა სააპარეზოდ ქართველი ფეხბურთელები (გუნდი, მოგეხსენებათ, მთლიანად თბილისელ ვეტერან ფეხბურთელებისაგან შედგება), სასახლის სარბიელი წამსვე აივსო ათი-თორმეტი წლის ბიჭუნებით. თითოეულს ხუთამდე „ხელმოწერა“ რომ შეეგროვებინა, ალბათ, დაახლოებით 500-ს მაინც მიაღწევდა ამ დღეს გაცემულ ავტოგრაფთა რაოდენობა.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა დიდი გაჭირვებით გაათავისუფლეს სარბიელი ნორჩთა „შემოსევისაგან“.

...მსაჯის სასტვენმა საასპარეზოდ საქართველოსა და ვარშავის დედაქალაქთა ნაკრები გუნდები იხმო. გვაპატიოს მკითხველმა, რომ ჟურნალისტის კალამმა ამჯერად ქრონოლოგია არ დაიცვა — ტურნირის პირველ დღეს ეს შეხვედრა სულ ბოლოს გაიმართა. მოედანზე გამოვიდნენ გაბელია, კოსტავა, სულაქველიძე, კოპალეიშვილი, მ. მაჩაიძე, შენგელია, (სასტარტო ექვსეული), ლ. ნოდია, გ. მაჩაიძე, ქორიძე, ჩელებაძე, ხიზანიშვილი — თბილისელთა ძველი შემადგენლობის თანავარსკვლავედი. გამოცდილ, მრავლისმნახველ გულშემატკივრებსაც დიეტყოთ მღელვარება, ასე ვთქვათ, ახლო წარსულთან შეხვედრით, აი, ნორჩ ფეხბურთის მოყვარულებს, თავგამოდებით რომ დასდევდნენ სახელგანთქმულ ოსტატებს მომარჯვებული კალმებითა და პროგრამებით, აბა რა გაემტყუნებათ.

ვარშაველები ამ დღეს უკვე ვიხილეთ მოსკოველებთან მატჩში, ასე რომ, ეჭვი არავის ეპარებოდა მასპინძელთა გამარჯვებაში, მაგრამ ასეთი შედეგით?.. 10:0 — სტუმრებს არავითარი შანსი არ დაუტოვეს მწვრთნელ გივი ნოდიას გუნდის წევრებმა. ნაცადი კაპიტანი მანუჩარ მაჩაიძე ამჯერადაც მშვენივრად წარმართავდა იერიშებს; ზუსტი პასებით კვებავდა დასარტყმელ პოზიციაში პარტნიორები ჩელებაძეს (რომელსაც მეტოქენი დროდადრო ორივე ხელითაც კი იჭერდნენ); მოწინააღმდეგის კარისკენ ეჭირა თვალი გაუთავებლად შენგელიას. აქ თბილისელთა ყოფილმა გოლეადორმა ამჯერადაც ჰეთ-თრიკით გაგვახარა, ისევე, როგორც უფროსმა მაჩაიძემ. დანარჩენი 4 გოლი „გაინაწილეს“ ქორიძემ, ლ. ნოდიამ, სულაქველიძემ და გ. მაჩაიძემ. 10:0 (4:0) — ეს ჯერჯერობით თბილისის საერთაშორისო ტურნირის სარეკორდო ანგარიშია.

ტურნირის პირველი შეხვედრა არბიტრმა მერაბ ჰელიძემ იმსაჯა — ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის — მოსკოვისა და ვარშავის ნაკრებებს შორის აქაც ვარსკვლავები — პილგუი, ხიდიატულინი, იარცევი, გერშკოვიჩი, იაკუბიკი, სოჩნოვი...

სწორედ ამ უკანასკნელმა გახსნა ანგარიში ტაიმის მიწურულს. მერე იაკუბიკმა (ორჯერ) და გერშკოვიჩმა ოთხამდე გაზარდეს ანგარიში, რასაც ვარშაველთა (გროცი) ერთი საპასუხო გოლი მოჰყვა — 4:1.

ზაარბრიუკენელებმა ერევნელთა კარში ორი ბურთი გაიტანეს, მაგრამ საკუთარში სამი მიიღეს — 2:3 (0:1). აღსანიშნავია არარატელთა ძველი კაპიტნის ოჰანეს ზანაზანიანის შორი მანძილიდან ლამაზად გატანილი გოლი. მის გარდა ამ დღეს ერევნელთა რიგებში ვიხილეთ კარგად ნაცნობი მოთამაშეები — ა. აბრამიანი, ბონდარენკო, კოვალენკო, მესროფიანი, ყასაბოღლიანი, ქეროფიანი და სხვანი. სხვათაშორის, ამ მატჩში ზანაზანიანზე არანაკლებად ლამაზი გოლი გაიტანა ზაარბრიუკენელმა ალბერტ რებმანმა.

აბა, ქართველ გულშემატკივართაგან რომელი დარჩებოდა გულგრილი ბასკთა თამაშის მიმართ, რომლებიც ტურნირზე სან-სებასტიანის ნაკრების სახელით გამოდიან. სასურველ სტუმრებს პირი[...] (ძველი იბერიის) ნახევარკუნძუ[...]დან საკმაოდ ძლიერი მეტოქე [...] სამოსი — მოხატული შავი [...]პიბა, საბო, რუდაკოვი, კოლ[...]ვი, მატვიენკო, ფომენკო. [...] წინ ბასკთა გუნდისთავმა [...] პატჰი ალბერტიმ კიეველთა [...]ტანს ანდრეი ბიბას ეროვნ[...] სამოსი — გამოხატული [...]კური „ბერეტი“ უსახსოვრ[...]ნელმა ფეხბურთელებმაც [...] მართლა იგრძნეს, რომ „თავ[...]დში ჰქონდათ“ და ზედიზედ რამდენიმე მწვავე შეტევა მიიტანეს სანსებასტიანელთა კარზე. იუბილარმა ბიიკომ, რომელსაც ამ დღეს 36 წელი შეუსრულდა, გახსნა კიდეც ანგარიში. მართალია, ბასკმა ხოსე ლუის ანსინმა იქვე აღადგინა წონასწორობა, მაგრამ კოლოტოვმა შეხვედრის მეორე ტაიმის დაწყებისას კვლავ წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1. ისევ ანსინმა ისახელა თავი — კვლავ გაათანაბრა ანგარიში. ბასკთა გუნდი, რომელსაც ენერგიულად გულშემატკივრობდნენ ტრიბუნები, მთელი ძალით ამოქმედდა — 3:2, ეს უკვე ლუსიანო მურილიოს მესამე ბურთი იყო რუდაკოვის კარში. კიეველები ფარხმლის დაყრას როდი ფიქრობდნენ და, მაინც იხსნეს თავი დამარცხებისაგან — 3:3. ტაბლოზე გამოსახული ასეთი თანაბარი ციფრებით შეწყვიტა საინტერესო სანახაობა ზუგდიდელმა არბიტრმა სერგო კვარაცხელიამ.

მოსკოველებმა ამ დღეს მეორე გამარჯვება მოიპოვეს — ამჯერად სტამბოლის ნაკრებთან: ტაიმი მოიგეს ერთი ბურთის სხვაობით — 3:2, მატჩი კი ოთხი გოლით — 7:3. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულთაგან იარცევმა, გავრილოვმა, და გერშკოვიჩმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს. ერთი შედეგიანი დარტ-

იხ. მე-3 გვ.

# თანხმობით — ქართული სპორტის საკეთილდღეოდ

**წერილების** სერიამ, რომელიც „ლელოში“ იბეჭდება რუბრიკით „ქართული სპორტი — მხოლოდ აღმავლობის გზით!“, ცხოველი ინტერესი გამოიწვია. გამოითქვა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები, მაგრამ გაზეთის დანიშნულება ხომ ისიცაა, საზოგადოებრივმა სამსჯავრომ გამოიტანოს მართებული დასკვნები. ასეთი ნაბიჯი ჩვენს გაზეთს არაერთგზის გადაუდგამს და, რა გადაწყვეტილებამდეც მივსულვართ საზოგადოებრიობასთან ერთად, ჯერ სანანებლად არ გაგვხდომია.

არის რამდენიმე დარგი, რომელშიც ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა თამამად გამოთქვამს პირად მოსაზრებას, ყოველ შემთხვევაში, მიაჩნია, რომ ამ საქმეში გამოკვეთილად კარგად ერკვევა და სიტყვა ეთქმის. ასეთ დარგებს შორის სულ მცირე, ორიც რომ ვინმემ დაასახელოს, მათ შორის ერთი უდავოდ სპორტი იქნება. ეს არ შეიძლება არ გვაამაყებდეს. საქართველო სპორტული რესპუბლიკაა, მთელს მსოფლიოში შეგვიძლია. მოვიწონოთ თავი. ბუნებრივია, ქართულ სპორტს ჰყავს ქომაგთა, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, მილიონიანი არმია, გულშემატკივართა შორის არიან სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები და ამიტომაა იგი ასე მრავალრიცხოვანი.

და მაინც, სულ სხვაა სპეციალისტთა აზრი, ისინი უფრო ღრმად იცნობენ ვითარებას, უკეთ ერკვევიან მსოფლიო სპორტულ პროცესებში, ემოციებს ობიექტურ ანალიზს ამჯობინებენ და ა. შ. თუმცა რა დასამალია, სპეციალისტს „კალთები უნდა დაახიო“, რომ პრესაში გამოვიდეს. სამაგიეროდ, ზოგიერთი სპორტული ფედერაციის მესვეურს ყოჩაღად შეუძლია აღშფოთება გამოთქვას სხვისი პოზიციის გამო. გაზეთის მუშაკები ამასაც შევეჩვიეთ.

აღარც კი გვახსენდება, ადრე როდის გადადგეს ერთმანეთისაკენ ნაბიჯი სხვადასხვა პოზიციებზე მდგომმა მხარეებმა (თუმცა მაშინ განსხვავებული პოზიცია არ არსებობდა). ახლა ეს საჭიროცაა და აუცილებელიც. ვიმედოვნებთ, ასეთი ნაბიჯი უდავოდ გადაიდგმება ახლო მომავალში.

ამ დღეებში ერთი მეტად საინტერესო შეხვედრა გაიმართა — სეოკ-ის აღმასკომის ინიციატივით ერთმანეთს შეხვდნენ სპეციალისტები, რათა გამოეკვეთათ პოზიცია, რომელიც შემდგომში შესაძლოა თავისებურ უვერტიურად იქცეს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრაში. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრთა, რესპუბლიკის სპორტსახკომის კოლეგიისა და სპორტული ფედერაციების წარმომადგენელთა თავმოყრა მრგვალ მაგიდასთან ნამდვილად დროული და აუცილებელი იყო. სრულიად ბუნებრივია, რომ სეოკ-ის აღმასკომმა პრინციპულად გამოხატა თავისი პოზიცია — სეოკ-ი აღიარებს და თანამშრომლობს მხოლოდ იმ სპორტულ ფედერაციებთან, რომლებმაც მოიპოვეს სრული დამოუკიდებლობა ან შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებთან ურთიერთობის ორმხრივ სასარგებლო გზა გამონახეს. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ვერ იქნება ეროვნული თუ მის რიგებში არ გაერთიანდა ეროვნული სტატუსის მქონე ფედერაციები. ეს არის და ეს. ვინ რას აკეთებს, ვინ რა გზას ირჩევს, ვის რა მოსაზრება აქვს სეოკ-ის რეალური სტატუსის მისაღწევად? ასეთი იყო განსასჯელ საკითხთა წრე. უნდა ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე ცვლილებათა უნისონში უშუალოდ სპორტულ სამყაროში დღეს არ სუფევს ერთიანი აზრი. ამას საკითხის სირთულე განაპირობებს.

ნგრევა გამართლებულია მაშინ, როცა კარგადაა ჩამოყალიბებული ახალი „ნაგებობის“ არქიტექტურული სახე, გათვალისწინებულია ყველა დეტალი, განსაკუთრებული მნიშვნელობა კი ენიჭება დარგის დაფინანსებას, ასაკობრივი თანმიმდევრობის კვლავაც უზრუნველყოფას, საიმედო რეზერვის მომზადებას, სპორტის ცალკეულ სახეობებში ტრადიციების შენარჩუნებას და ნოყიერ ეროვნულ ნიადაგზე სიცოცხლისუნარიანობის გარანტიით მის გადანერგვას, სპორტსმენთა, მწვრთნელთა, სპორტის მუშაკთა ადამიანურ ღირსებებს და უფლებებს, სოციალურ საკითხებს და ა. შ. და ა. შ. შეხვედრაზე ეს პოზიცია სპორტული სამყაროს ახლანდელ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელთა მხრიდანაც გამოიკვეთა, მაგრამ ითქვა ისიც, რომ არამც და არამც არ უნდა ვიყოთ პასიური მომლოდინენი, ყველამ ყველაფერი უნდა აკეთოს, რათა თავი დავაღწიოთ ცენტრის დიქტატს და იმავდროულად გამოინახოს სპორტის სახეობებში ოსტატობის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე შენარჩუნება-ამაღლების რეალური გზა და შესაძლებლობები. საამისოდ კი არ არსებობს ერთიანი მოდელი, ფედერაციებს ვერც ვერავინ შესთავაზებს კონკრეტულ წინადადებას, თავად უნდა მიიღონ გონივრული გადაწყვეტილება.

შეხვედრის მონაწილენი ერთმანეთს დაშორდნენ იმ რწმენით, რომ ქართულმა სპორტმა მხარი აქტიურად უნდა აუბას რესპუბლიკის ცხოვრებაში მიმდინარე განახლების პროცესებს.

# „ასეთ „სიუჟეტს" არავინ ელოდა"

**დამთავრდა საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. რესპუბლიკის 99 გუნდი 9 თვის განმავლობაში მონაწილეობდა ამ მართლაც გრძელსა და მომქანცველ საფეხბურთო მარათონში. ჩვენმა რესპუბლიკამ პირველმა თქვა უარი საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე და, გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენმა ფეხბურთმა პირველი გამოცდა ფრიადზე ჩააბარა.**

**ალბათ არავინ ელოდა ამდენი პერსპექტიული მოთამაშის გამოჩენას. ეს კი იმის გარანტიას გვაძლევს, რომ საქართველოში ფეხბურთი სწორ გზას ადგას და მისი ამ გზიდან გადახვევას ვერავითარი ძალა ვეღარ შეძლებს. ჩვენი გაზეთი განვლილ ჩემპიონატს არაერთხელ დაუბრუნდება — მისი ანალიზი დაეხმარება ყველას, ვისაც მცირედი კავშირი მაინც აქვს ქართულ ფეხბურთთან. „ლელოს" დღევანდელი სტუმარია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამეცნიერო, მეთოდური, სამედიცინო და ნაკრები გუნდების განყოფილების უფროსი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რამაზ შენგელია.**

**● რამაზ, საუბარი ახლახან დამთავრებული ავთანდილ ღოღობერიძის სახელობის ტურნირით მინდა დავიწყო. რა მიზანს ისახავდა ეს ასპარეზობა, სეზონის დასასრულს რომ ჩატარდა, როცა ფეხბურთელთა სათამაშო კონდიციები დაქვეითებულია?**

— ამ შეჯიბრების ჩატარების მთავარი მიზანი ნაკრები გუნდებისთვის ღირსეული კანდიდატების შერჩევა იყო. არავინ იცის, როდის მოისურვებენ საერთაშორისო ფედერაციები, გზა მისცენ ქართულ ფეხბურთს დიდ ასპარეზზე, ამ საპატიო მისიისათვის კი ქართულმა ფეხბურთმა აქედანვე უნდა იფიქროს. სწორედ ეს იყო უპირველესი მიზეზი იმისა, რომ ზემოთ ნახსენები შეჯიბრება სეზონის ბოლოს გაიმართა. რა თქმა უნდა, ანალოგიური ტურნირის ჩატარება შუა სეზონში უფრო უპრიანი იქნებოდა, ფეხბურთელებიც სრულად გამოავლენდნენ თავიანთ შესაძლებლობებს და ჩვენც, მწვრთნელებსაც, მეტი საშუალება გვექნებოდა სასელექციო მუშაობის სრულყოფილად ჩატარებისა. მაგრამ, მოგეხსენებათ, წლევანდელი სეზონი განსაკუთრებული იყო ქართული ფეხბურთისათვის, ამიტომაც ბევრი ხელისშემშლელი პირობა გაჩნდა იმისა, რომ ყველაფერი, რაც წინასწარ დაიგეგმა, სრულად განგვეხორციელებინა. მიუხედავად ამისა, ღოღობერიძის პრიზზე მოასპარეზე საქართველოს ოთხივე ნაკრების ხილვამ ბევრი რამ დაგვანახვა. თუმცა სრულად არ ყოფილა დაკომპლექტებული არც ერთი ჯგუფის ნაკრები, გუნდების თამაშით მწვრთნელები და სპეციალისტები მაინც კმაყოფილნი ვართ. საინტერესოდ წარიმართა შეხვედრა თელავში, სადაც ახალგაზრდული ნაკრების მეტოქე პირველი ჯგუფის გუნდი იყო. ამ მატჩის დაძაბულობაზე ისიც მეტყველებს, რომ ახალგაზრდულმა ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით — 1:0 შეძლო გამოცდილი კოლეგების დამარცხება. მიუხედავად რესპუბლიკის პირველი ნაკრების გამარჯვებისა ფინალურ შეხვედრაში ახალგაზრდულ გუნდთან ანგარიშით 4:1, თამაშზე მოსულმა მაყურებელმა საინტერესო ორთაბრძოლა იხილა. ამიტომაც ტყუილად როდი „დავადგით თვალი" ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე მოთამაშეს, რომლებიც სულ მალე პირველი ნაკრების სრულუფლებიანი წევრები გახდებიან. ნაკრებების დონეზე ამ ოფიციალურმა მეორე შეკრებამ ბევრი რამ უარყოფითიც გვიჩვენა, რომლის აღმოფხვრასაც ყოველნაირად ვეცდებით.



**● ახლა ისევ ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. რით იყო აღსანიშნავი განვლილი სეზონი და რა პრობლემების წინაშე დგას დღეს ჩვენში სპორტის ნომერი პირველი სახეობა?**

— ალბათ დამეთანხმებით, რომ პირველი ეროვნული ჩემპიონატის ასეთ „სიუჟეტს" არავინ ელოდა. გულშემატკივართა და სპეციალისტთა დიდ ნაწილსაც ეგონა, რომ თბილისის „იბერია" ხელის ერთი მოსმით შეძლებდა ჩემპიონობისა და თასის მოპოვებას — გუნდში ხომ რესპუბლიკის თითქმის ყველა საუკეთესო მოთამაშე იყო თავმოყრილი, მაგრამ სეზონის გახსნის პირველივე შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ იბერიელებისთვის ეს ჩემპიონატი „იოლი გასეირნება" არ იქნებოდა. 80 ათასი მაყურებლის თანდასწრებით თბილისელებმა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგის ბინადარ ფოთის „კოლხეთი-1913"-თან წააგეს. მთელი პირველი წრე „იბერიამ" ისე განვლო, სატურნირო ცხრილის სათავეში მხოლოდ ერთხელ მოექცა. ალბათ აქ ფსიქოლოგიურმა ფაქტორმაც იქონია გავლენა — ფეხბურთელები არ ელოდნენ ასეთ მედგარ კონკურენციას ტიტულებით მათზე ბევრად „ღარიბი" კლუბებისაგან.

მეორე წრე კი იბერიელებმა დამაჯერებლად ჩაატარეს, ეტყობა, კოლექტივმა სათანადო დასკვნები გამოიტანა განვლილი შეხვედრებიდან, რაც ქულებშიც აისახა და ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე ეს გუნდი დამსახურებულად გახდა საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული. პირველ წრეში რესპუბლიკის პირველი გუნდის „წაფორხილებამ" თავისებურად სასიკეთო გავლენა იქონია სხვა გუნდებზე — სწრაფად გაქრა მითი „უძლეველობის" შესახებ და ბევრ კლუბთან „იბერიამ" ძალების მთელი მობილიზებით შეძლო წარმატების მიღწევა.

ლიდერთა ჯგუფში მყოფმა კოლექტივებმა საინტერესო, შემტევი ფეხბურთი აჩვენეს მაყურებელს. აღსანიშნავია ლანჩხუთის „გურიისა" და რუსთავის „გორდას" წლევანდელი გამოსვლაც, ამ კლუბებს მთელი სეზონის მანძილზე არ დაუთმიათ მოწინავე პოზიციები. სტაბილური, გააზრებული თამაშით მათ მრავალი თაყვანისმცემელი გაიჩინეს და, ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ ვერცხლის მედლების ბედი ამ ორ გუნდს შორის ჩემპიონატის ბოლო მატჩში გადაწყდა. კარგად დაამთავრეს სეზონი ქუთაისის „ქუთაისმა" და ფოთის „კოლხეთი-1913"-მა. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით კარგად ჩაატარა დასკვნითი ტურები, რამაც მას უძლიერესთა ხუთეულში დამკვიდრების საშუალება მისცა. მეტს ველოდით ბათუმელთა გუნდისაგან. სეზონის დასაწყისში კლუბი რამდენიმე ძლიერმა ფეხბურთელმა დატოვა, გუნდის ხელმძღვანელობამ დროის მცირე მონაკვეთში შეძლო ჩამოეყალიბებინა ისეთი გუნდი, რომელსაც საკმაოდ მაღალი ადგილებისთვის შეეძლო ბრძოლა. მოკლე სათადარიგო სკამის მიუხედავად, ისინი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ თმობდნენ ლიდერთა პოზიციებს, მაგრამ სეზონის მიწურულს მკვეთრად დაეცა მოთამაშეთა ფიზიკური მომზადების დონე. ამასთან, ბათუმელებმა მთელი სეზონი თითქმის უთავდამსხმელოდ ჩაატარეს, ყველაფერმა ამან კი ჩემპიონატის ბოლოს იჩინა თავი — გუნდმა ზედიზედ რამდენიმე შეხვედრა დათმო და საბოლოოდ მხოლოდ მეექვსე ადგილს დასჯერდა.



ქებას იმსახურებენ სოხუმის „ცხუმის" ფეხბურთელები, რომლებიც გამოცდილი მწვრთნელის ანატოლი ნორაკიძის თავკაცობით უმაღლეს ჯგუფში მოასპარეზე ერთ-ერთ საინტერესო გუნდად მოგვევლინნენ. შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ „ცხუმმა" საქართველოს თასისათვის ბრძოლაში ჩინებულად წარმართა ორივე შეხვედრა და ფინალი მინიმალური ანგარიშით — 0:1 დათმო გამოცდილ „გურიასთან".

მისასალმებელია, რომ ლიდერთა ჯგუფის გუნდები თავისი სათამაშო ხელწერით გამოირჩეოდნენ, რაც აქ მოთამაშეთა ნიჭსა და ოსტატობაზე მეტყველებს. აღსანიშნავია გათამაშების საბოლოო ცხრილის შუაგულში მყოფი ბევრი კლუბის კარგი თამაშიც. გამოვყოფთ ზუგდიდის „ოდიშს", ოზურგეთის „მერცხალს", გორის „დილას". მათ მთელ



რიგ მატჩებში საინტერესო ფეხბურთი აჩვენეს.

ჩემპიონატის დაძაბულობაზე მეტყველებს ისიც, რომ სეზონის ბოლო ტურამდე არ იყო გარკვეული იმ გუნდის ვინაობა, რომელიც მომავალი სეზონიდან ცხინვალის „ლიახვთან" ერთად პირველ ჯგუფში იასპარეზებდა.

**● მთელი სეზონის განმავლობაში საქართველოს ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის სტადიონებზე შეიმჩნეოდა უწესრიგობა. კლუბები ჯარიმდებოდნენ საკმაოდ სოლიდური თანხით, მაგრამ დარღვევები მაინც ხდებოდა. რა ღონისძიებების გატარებას აპირებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მომავალი წლიდან დისციპლინის განსამტკიცებლად?**

— არავითარი გამართლება არა აქვთ არც მაყურებლებს, არც ფეხბურთელებს, რომლებიც ცდილობენ ხულიგნური ქცევით ჩირქი მოსცხონ ეროვნულ ჩემპიონატს. მაყურებელი წლების განმავლობაში მიეჩვია იმ აზრს, რომ მათ საყვარელ გუნდს, რადაც უნდა დასჯდომოდა, უნდა გაემარჯვა საკუთარ მინდორზე. იშვიათი არ იყო „ალებ-მიცემობაც" — წლების განმავლობაში შეხვედრების 90 პროცენტი მასპინძელთა გამარჯვებით მთავრდებოდა. წელს კი სხვა სურათის მოწმე გავხდით — ფეხბურთელები შეეგუენ იმ აზრს, რომ გასვლით მატჩებში მათ და მასპინძლებს თანაბარ პირობებში უწევდათ ბრძოლა. სწორედ ეს ფაქტორი ვერ აღიქვეს გულშემატკივრებმა და, ჩემი აზრით, ერთ-ერთი მიზეზი დარღვევებისა ეს გახლავთ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მკაცრად გააფრთხილა ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელები, რომ უსაფრთხოებისა და თამაშების ნორმალურად ჩატარების მიზნით, მოედნები შემოღობონ რკინის ცხაურით. ზუგდიდსა და წყალტუბოში ეს საქმე უკვე მოაგვარეს კიდეც.

**● გასულ წლებთან შედარებით მკვეთრად შემცირდა პრეტენზიები მსაჯების მიმართ, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ამ სფეროში ყველაფერი წესრიგში ჯერჯერობით არც დღეს გვაქვს.**

— მსაჯობის პრობლემა ნებისმიერ ქვეყანაში მწვავედ დგას. თუნდაც იტალიის მსოფლიო ჩემპიონატი გავიხსენოთ. ისეთი შეცდომები, სახელოვან არბიტრებს რომ მოსდიოდათ, წარმოუდგენლადაც შეიძლება მოგეჩვენოთ. მაგრამ მსაჯიც ჩვეულებრივი მოკვდავია და შეცდომისგან არც ის არის დაზღვეული. რაც შეეხება ჩვენი ჩემპიონატის მომსახურე არბიტრებს, დღესვე შემიძლია დავასახელო რამდენიმე მათგანი, რომელიც ნებისმიერი რანგის მატჩს წარმატებით გაუძღვებოდა. სასიხარულოა ისიც, რომ ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას სურს დაეუფლოს არბიტრის რთულ პროფესიას. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გახსნილია ჯგუფი, სადაც გამოცდილი სპეციალისტები მსაჯობის ანბანს ასწავლიან მსურველთ.

**● საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე უმაღლესი და პირველი ჯგუფების გუნდების შემადგენლობაში წლევანდელ სეზონში არაერთმა ბალტიისპირელმა მიიღო მონაწილეობა. გვაინტერესებს თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.**

— არაფერს ცუდს და მიუღებელს ამ საქმეში მე ვერ ვხედავ. ყველა მოწვეულმა ფეხბურთელმა, რომლებიც წელს ჩვენს კლუბებში გამოდიოდნენ, საუცხოოდ ითამაშეს. მათ გვერდით მრავალმა ახალგაზრდა სპორტსმენმა აიმაღლა სათამაშო კლასი.

მოწვეული მოთამაშეების ყოფნა იმითაც არის გამართლებული, რომ ყველამ გვინდა შეიგნოს — არ გვსურს თვითიზოლაცია; მობრძანდეს და ითამაშოს, ვისაც სურვილი ექნება და ძალა შესწევს გამოადგეს ჩვენს ფეხბურთს.

**● ბოლო კითხვა — თვლით თუ არა აუცილებლად უმაღლეს ჯგუფში მოასპარეზე გუნდებში დუბლიორთა ყოლას?**

— დუბლიორთა ყოლა, ჩემი აზრით, აუცილებელია — ყურადღების ცენტრში გვეყოლება ყველა მოზარდი. მაგრამ ჯერ ეს შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან ბევრი კლუბი ეკონომიკურად მოსაღონიერებელია და დამატებით რამდენიმე მოთამაშის შენახვა გაუჭირდება, მომავალში კი, როცა ჩვენს რესპუბლიკას საერთაშორისო ფედერაციები აღიარებენ, ალბათ ამ საქმესაც მოევლება. ისე კი, გასაკეთებელი ძალიან ბევრია — ბაზები, აღდგენითი ცენტრები — ეს ის აუცილებელი „ატრიბუტებია", რომლებიც ჰაერივით სჭირდება თანამედროვე ფეხბურთს.

**ესაუბრა ზაზა კახაძე.**

# ყველა გზას... ჩინეთში მივყავართ

**„...სახელთა გამართვით დავიწყებდი".**

**კუნ ფუ ძი**

**„აღმოსავლური** ორთაბრძოლები" ისეთივე მრავლისმომცველი ცნების აღმნიშვნელია, როგორც „აღმოსავლეთი", ან „ძველი აღმოსავლეთი". ჩვენში სადღეისოდ ცნობილი „აღმოსავლური ორთაბრძოლის" სისტემები ჩინური, კორეული, იაპონური, ვიეტნამური, ანუ აზიური წარმოშობისაა. ჩვენც სწორედ მათზე ვისაუბრებთ.

აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ათეული საუკუნეების განმავლობაში ტრადიციულად დომინირებდა ჩინური კულტურა. ამას ადასტურებს არა მარტო ამ რეგიონის ქვეყნებში შემორჩენილი მატერიალური და სულიერი კულტურის უამრავი ძეგლი, არამედ მათი დღევანდელი ზოგადკულტურული და, განსაკუთრებით, რელიგიური ცხოვრებაც. სპეციალისტთა აზრით, აშკარაა, აგრეთვე ჩინური საბრძოლო ხელოვნების ისტორიული გავლენაც იაპონიაში, კორეაში, ვიეტნამში და ამ რეგიონის სხვა ქვეყნებში ჩამოყალიბებულ სისტემებზე.

და, რადგან, ჩინური ტრადიციის თანახმად, საბრძოლო ხელოვნება („უ-შუ") ყოველთვის განიხილებოდა არა როგორც მხოლოდ უტილიტარული, აუცილებლობით გამოწვეული, სტიქიურად წარმოშობილი ფენომენი, არამედ როგორც უძველესი ჩინური კულტურის ორგანული ნაწილი, მისი განვითარების ერთ-ერთი ობიექტური შედეგი და მიზეზიც ერთდროულად, ალბათ, ზედმეტი არ იქნება, ზოგადად მაინც გავეცნოთ ამ კულტურას — საბრძოლო ხელოვნების „სულს".

**„ციხქვეშეთი": მოკლე ისტორიული ექსკურსი.** ჩინეთი უძველესი და უმდიდრესი ისტორიის მქონე ქვეყანაა. მის ახლანდელ ტერიტორიაზე აღმოჩენილთაგან ყველაზე ძველი დასახლება 1,7 მილიონი წლისაა. ჩინური ისტორიოგრაფია კი 40 საუკუნეს მოიცავს.

**სიას** მმართველობის ეპოქაში ჩინეთში ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური ურთიერთობებია გაბატონებული.

**ინის (შანის)** ეპოქაში, კერძოდ დაახლოებით ქრისტეს დაბ-მდე XIV საუკუნიდან, დაიწყო პირველყოფილი თემური წყობილებიდან მონათმფლობელურ წყობილებაზე გადასვლა. ამ პერიოდში ჩინეთში ვითარდებოდა ხელოსნობა, ვაჭრობა, შეიქმნა დამწერლობა (ქრ.დაბ-მდე XV-XII საუკუნეები), აღმოცენდა და განვითარება დაიწყო ფილოსოფიურმა აზროვნებამ.

**დასავლეთ ჯოუს** დინასტიის მმართველობის ხანა — უკვე განვითარებული მონათმფლობელობის ეპოქაა. ჩინელები ადნობენ ბრინჯაოს, მისდევენ მეაბრეშუმეობას და... ომობენ, რადგან „უომრად მონებს ვერ იშოვნი, მამულებს ვერ გაიფართოვებ".

მაგრამ, ამასთან ერთად, უკვე შეიმჩნევა მკვეთრად გამოხატული, ჩინელთათვის მეტად დამახასიათებელი საოცარი თვისება, რომელიც არა მარტო წაჰყვებათ მათ ათასწლეულების მანძილზე, არამედ სულ უფრო ღრმავდება და ძლიერდება. ესაა თაყვანისცემა მშვიდობიანი შრომისადმი, სათუთი დამოკიდებულება მისი შედეგისადმი, ყოველივე ცოცხალისადმი და, რა თქმა უნდა, — ადამიანისადმი პირველ რიგში.

ეს საოცარი ჰუმანიზმი თავს იჩენს ყველაფერში, თუნდაც იმავე ომის წარმოების წესში: ჩინელები ომობდნენ, მაგრამ სიძულვილის, სისასტიკის გარეშე. „ინისა და ჯოუს ჩინეთში საერთოდ არ არსებობდა რეგულარული არმია და ლაშქარი მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში იკრიბებოდა ხოლმე ვანის პირადი ბრძანებით". ომი „...უპირატესად ფორმალური ხასიათისა იყო და, როგორც წესი, ერთ დღეზე მეტ ხანს არ გრძელდებოდა. საკამათო საკითხებისა და ტერიტორიული პრეტენზიების გადასაწყვეტად ინიშნებოდა ბრძოლა. ბრძოლა უნდა მომხდარიყო საცხოვრებელი ადგილებიდან დაშორებულ ყამირ ველზე ისეთ დროს, როცა მოსახლეობა არც ხვნა-თესვითა და არც მოსავლის აღებით არ იყო დაკავებული. დასახლებების, ბაღებისა და სავარგულების აოხრება აკრძალული იყო. გაიმარჯვებდა ის, ვინც ამ ბრძოლას მოიგებდა." (რეზო ყარალაშვილი. „ჩინეთის დიდი კედლის მიღმა", თბ., 1989 წ.).

ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ჩინელები ცუდი მეომრები იყვნენ, ან სამხედრო სტრატეგიასა და ტაქტიკაში არ ერკვეოდნენ. პირიქით, მათ გააჩნდათ ომის წარმოების სრულიად გარკვეული, კარგად ჩამოყალიბებული თეორია.

ჩინური ჯარის ძირითადი ერთეული იყო საბრძოლო ეტლი, რომელზედაც სამი კაცი თავსდებოდა — მეეტლე, მშვილდოსანი და აფთოსანი. ბრძოლაში მას მხარს უჭერდა ჰოროლებით, შუბნაჯახებითა და ცულებით შეიარაღებულ ქვეითთა მეწინავე რაზმი და 125-კაციანი დამხმარე ბატალიონი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში ქრ. დაბ-მდე VII საუკუნეში 600, VI საუკუნეში — 1000, V საუკუნეში კი უკვე 4000 ასეთი ეტლი იყო, ძნელი არ არის იმის გამოთვლა, რომ შესაბამისად მათთან ერთად ბრძოლაში შედიოდა ერთდროულად 90 000, 150 000, 600 000 მეომარი! გარდა ამისა, ჩინელებს საჭიროების შემთხვევაში ბრძოლის ველზე სპილოებიც გამოჰყავდათ... მაგრამ ეს ძლიერ იშვიათად ხდებოდა.

საოცარი იყო დამოკიდებულება გამარჯვებულსა და დამარცხებულს შორისაც: გამარჯვებული არა თუ არ ანადგურებდა გუშინდელ მტერს, მიწასთან არ ასწორებდა მის ნაშრომ-ნაამაგარს, მის კულტურას, არამედ ხშირად ბეჯით შეგირდად, ღირსეულ მემკვიდრედაც კი მოევლინებოდა ხოლმე მას. ასე, მაგალითად „ჯოუელთა ტომები უხვად სარგებლობდნენ უფრო ძველი და

იხ. მე-4 გვ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „ლელო" № 172.

ეროვნული ბიბლიოთეკა







სურათებზე: სლავა მეტრეველი; პოლონელთა კარს უტევენ რევაზ ჩელებაძე და ძმები მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები; სტამბოლისა და მოსკოვის ნაკრებთა მატჩი.





ზაარბრიუკენელი თავდამსხმელი ერევნელთა საჯარიმოში; მაყურებელთა შორის არიან ძველი დინამოელები გიორგი სიჭინავა და გურამ პეტრიაშვილი (წინა პლანზე).

# 500 ავტოგრაფი, ორი ჰეთ-თრიკი...

(დასასრული)

ყმა თურქ ფეხბურთელთა (გუნდი მთლიანად „გალათასარაის" კლუბის ვეტერანებისგან შედგება) კარში ხიდიატულინმა განახორციელა.

გერმანელმა ფეხბურთელებმა (ზაარბრიუკენის ნაკრები) გახსნეს ანგარიში კიევის ნაკრებთან შეხვედრაში, მერე ვიდო ზეხლიმ მესხის „საფირმო" ფინტიც გვიჩვენა და კარში უნაკლოდ დაარტყა კიდეც ტაიმის დასასრულს — 2:0. ეს იყო და ეს: კიეველებმა, რომელთა შორის კოლოტოვი გამოირჩეოდა, ოთხი საპასუხო ბურთი გაიტანეს — 4:2.



ერთი ბასკი ორი კიეველის წინააღმდეგ.

**გუშინ** გაიმართა მორიგი მატჩები: თბილისი — სტამბოლი 3:0; ერევანი — სან-სებასტიანი 2:3; ვარშავა — სტამბოლი 2:1; კიევი — ერევანი 3:0; ზაარბრიუკენი — სან-სებასტიანი 1:2; მოსკოვი — თბილისი 0:0.

დღეს სპორტის სასახლის სარბიელზე 12 საათიდან დასკვნითი შეხვედრები გაიმართება. გამოვლინდებიან ჩემპიონები და პრიზიორები. ფეხბურთის მოყვარულები იხილავენ აგრეთვე ჭაბუკთა ფინალურ მატჩს სპორტის სასახლის პრიზზე, მეტად საინტერესო ასპარეზობას ევროპის პირველი ჩემპიონის — ქვეყნის ნაკრებისა (1960 წლის შემადგენლობა) და თბილისის „დინამოს" — 1964 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონის (ტაშკენტის „ოქროს მატჩის") მონაწილეობით. ალბათ, არავინ დარჩება გულგრილი ტრადიციული, „დაუსრულებელი" პაექრობის მიმართ გულშემატკივრებისა და მსახიობების ნაკრებთა შორის.

ოთარ ოთარაშვილი

* * *

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

# სიტყვა ორ სტუმარს

**მანფრედ ბარტნერი — ზაარბრიუკენის ნაკრების მოთამაშე-მენეჯერი:**

— ჩვენს გუნდში ბუნდესლიგის რამდენიმე ყოფილი მოთამაშე გამოდის — ვერნერ კირში, ალბერტ კემპფი, ვალტერ მიულერი, ვერნერ ებერჰარდი. ვეტერანთა გუნდში სულ ხუთი წელიწადია ვთამაშობ და უკვე ხუთჯერ შევხვდი ქართველ ფეხბურთელებს — სამჯერ ზაარბრიუკენში და ორჯერ თბილისში. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ თქვენები ნამდვილად დიდი ფეხბურთელები არიან, ერთნაირად არიან გულშემატკივართა სიმპათიისა და დიდი ჯილდოების ღირსნი. იმედი მაქვს, თბილისის საერთაშორისო ტურნირი თანდათანობით ერთ-ერთ დიდ და პრესტიჟულ ასპარეზობად იქცევა და საქართველოში ჩვენი გუნდი მუდამ ისეთივე ინტერესითა და სიამოვნებით ჩამოვა, როგორც საფრანგეთის, შვეციის, იტალიის, ჰოლანდიის ტურნირებზე. გულით ვულოცავ ასეთ დიდებულ „სახელობით შეჯიბრებას" თქვენს შესანიშნავ სლავა მეტრეველს, რომელსაც კარგად იცნობენ გერმანელი გულშემატკივრები.

**ბოგუსლავ ორაბეკი — ვარშავის ნაკრების ხელმძღვანელი:**

— ჩვენი გუნდი მთლიანად ვარშავის „პოლონიას" წარმოადგენს, უფრო ზუსტად, ამ საფეხბურთო კლუბის ყოფილ შემადგენლობას. სამწუხაროდ, პოლონეთის ოდესღაც ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „პოლონია" 1945 წლიდან ვეღარ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

თუმცა, გამანადგურებელი ანგარიშით წავაგეთ ქართველ ფეხბურთელებთან, ვთვლით, რომ არც ისე სუსტი გუნდი გვყავს. ამის დასტურია ის, რომ ბევრ საერთაშორისო ტურნირში გაგვიმარჯვია ან საპრიზო ადგილები მოგვიპოვებია. თბილისში სწორედ გამარჯვებულნი ჩამოვედით შვეიცარიის ქალაქ ბაზელში ოქტომბერში გამართული საერთაშორისო ტურნირიდან. თუ პროგნოზები გაინტერესებთ, სლავა მეტრეველის ტურნირში გამარჯვებას ჩვენ ქართველ ფეხბურთელებს ვუწინასწარმეტყველებთ. საქმე ისაა, რომ თქვენი გუნდი ერთ-ერთ ვარჯიშზე ვიხილეთ და... პირველი პრიზი თბილისში რომ დარჩებოდა, ეჭვი არც შეგვპარვია.

ესაუბრა ალა ალადაშვილი.

მიგუელ ბალდა:

# „ლანგარა აღარ არის..."

## ინტერვიუ ბასკეთის პროვინცია გიპუსკუას ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტთან

● **ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, ფეხბურთის ძველ ქართველ გულშემატკივრებს დღესაც კარგად ახსოვთ 1937 წლის ივლისში თბილისში შესანიშნავი ბასკი ფეხბურთელების ჩამოსვლა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება თქვენმა ცენტრფორვარდმა, „ადამიან-გოლიათად" წოდებულმა, ისიდრო ლანგარამ მოახდინა, რომელიც იმხანად მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლებოდა. როდესაც ჯერ კიდევ ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის 75 წლის იუბილესათვის ვემზადებოდით, დავაპირეთ ძველ და ახალ ბასკთა გუნდების მოწვევა თბილისში. როგორც დავაზუსტეთ, 1937 წლის იმ ლეგენდარული შემადგენლობიდან ცოცხალი მხოლოდ ოთხი-ხუთი იყო. ლანგარაზე არაფერი ვიცოდით. ეგებ თქვენ იცით რაიმე მის შესახებ — იგი ხომ სახელგანთქმულ თანაგუნდელებთან ერთად მექსიკაში გადავიდა საცხოვრებლად იმ დაუვიწყარი ტურნეს შემდეგ. ერთი სიტყვით, ცოცხალია თუ არა იგი?**

— ჩვენთვის ასეა ცნობილი — ისიდრო ლანგარა, რომელიც მართლაც ძალზე პოპულარული იყო ესპანეთში და მთელს მსოფლიოშიც, როგორც თქვენი ლეგენდარული ბორის პაიჭაძე, წელს გარდაიცვალა. მართალია, ლანგარა და მისი თანაგუნდელები ძალიან შორს ცხოვრობდნენ ესპანეთიდან, მაგრამ გულით მუდამ თავის სამშობლოსთან იყვნენ. ლანგარა ხშირად ჩამოდიოდა მშობლიურ ბასკეთში, რამდენიმეჯერ სან-სებასტიანშიც გვეწვია. თუმცა, იგი „ოვიედო ფუტბოლ კლუბში" თამაშობდა, მაგრამ, შეიძლება თქვენ არც იცოდეთ, რომ იგი ჩვენს მშობლიურ სან-სებასტიანში დაიბადა. სხვათა შორის, აქედანვე არიან ძმები ლუის და პედრო რეგეიროები, ენრიკე ლარინაგა, ემილიო ალონსო...



● **...ეხე იგი, გილერმო გოროსტიცას გარდა, იმ თქვენი დიდი გუნდის მთლიანი თავდასხმის ხაზი, ფაქტიურად, სან-სებასტიანური იყო. დღეს თუ გყავთ თქვენს გუნდში ასეთი კლასის ფეხბურთელები?**

— ისინი მართლაც ლეგენდარული მოთამაშეები იყვნენ, მრავალჯერ დაუცავთ არა მარტო ბასკეთის ქვეყნის ღირსება, არამედ მთელი ესპანური ფეხბურთის პრესტიჟიც. ლანგარა და ლუის რეგეირო, როგორც იცით, იტალიის 1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონატშიც თამაშობდნენ. დღეს ჩვენს გუნდში ამ მხრივ გამოვყოფ ესპანეთის ნაკრების ყოფილ მოთამაშეს, მცველ ლუსიანო მურილიოს. თბილისის ტურნირში იგი მე-5 ნომრით გამოდის. ბევრად არ ჩამოუვარდება მას პოპულარობით ჩვენი კაპიტანიც, მეკარე პატჰი ალბერდი.

● **თვითონ თუ თამაშობდით ფეხბურთს?**

— 41 წლისა ვარ უკვე, რა დროს ჩემი ფეხბურთია. ახალგაზრდობაში მოყვარულთა გუნდებში გამოვდიოდი, მარცხენა გარემარბი ვიყავი სახელგანთქმული ემილიო ალონსოსავით.

● **თქვენი სან-სებასტიანი ჩვენი, ასევე ზღვისპირა, ბათუმის დაძმობილებული ქალაქია. თბილისი და ბასკთა ქვეყნის მთავარი ქალაქი ბილბაოც დაძმობილებული ქალაქებია. კარგი წინადადება გვაქვს: ეგებ ჩავატაროთ ყოველწლიური ტრადიციული ტურნირი (მონაცვლეობით საქართველოსა და ბასკეთში) ოთხი გუნდის მონაწილეობით — ბილბაოს, სან-სებასტიანის, თბილისის და ბათუმის. გნებავთ, მოასპარეზეთ კლუბების სახელები დავარქვათ — „ატლეტიკო", „რეალ-სოსიედადი", „იბერია" და „ბათუმი", მაგრამ მთავარი ეს არ არის, ცხადია.**

— დიდებული აზრია, ჩვენ ორივე ხელით ვუჭერთ მხარს ამ წინადადებას. არავითარი პრობლემა არაა, მთავარია, ფინანსური მხარის მოგვარება, რასაც, ვფიქრობ, მხარეები წარმატებით გაართმევენ თავს.

● **იცით, ალბათ, რომ ბასკებსა და ქართველებს ძველთაგანვე ნათესავებად მიიჩნევენ. მართლაც, ჩვენ და თქვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო, თუნდაც ის გულახდილობა, სიკეთე, მოყვასობა, რაც ამ საუბარშიც იგრძნობა. უფრო კონკრეტული ვიქნები: თქვენი და ჩვენი სიმღერები, ცეკვები, ადათ-წესები, სიტყვები, სახელები, გვარებიც კი გვანან ერთმანეთს...**

— რა დასამალია, ადრე ბასკეთში ცოტა რამ იცოდნენ ამის შესახებ, დღეს კი საკმაოდ ბევრია კარგად გათვითცნობიერებული ბასკთა და ქართველთა ნათესაურ საკითხებში. დამიჯერეთ, ჩვენც, ბასკებს, ძალიან გვეამაყება ეს და ამიტომაც იყო, რომ სიხარულით ჩამოვედით თბილისის ტურნირზე.

● **იქნებ ჩვენი სახელოვანი ველოსიპედისტი ომარ ფხაკაძეც გაგიგონიათ?**

— ვიცით, ვიცით, მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა სან-სებასტიანის ველოტრეკზე. მე მაშინ უშუალო მოწმე ვიყავი ქართველი სპორტსმენის ბრწყინვალე გამარჯვებისა დაუმარცხებელ იტალიელ ჯორდანო ტურინისთან. თუ დამიჯერებთ, ბასკი გულშემატკივრები იმ დღეს გულიანად ვქომაგობდით თქვენს ველოსიპედისტს.

● **თუ ხართ კმაყოფილი თქვენი გუნდის თამაშით კიეველებთან — მათი შემადგენლობა ხომ საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი იყო?**

— პირდაპირ გეტყვით: პირველ თამაშში ჩვენ დიდი ვერაფრით გამოვიჩინეთ თავი. საქმე ისაა, რომ მინიფეხბურთს ესპანეთში, და კერძოდ ბასკეთში, ასეთივე „მინი" — პატარა ბურთით ვთამაშობთ. ასე რომ, ძალიან გაუჭირდათ ჩვენს ბიჭებს. მაგრამ ნელ-ნელა, ალბათ, შევეჩვევით.

ესაუბრა ოთარ ნოზაძე



ეს ორი შარჟი ცნობილ მოსკოველ კარიკატურისტს იგორ სოკოლოვს ეკუთვნის — პირველი 1968 წელს გამოქვეყნდა წიგნში „რეკორდები, პარადოქსები, ტრაგედიები, სენსაციები...". მეორე კი — 1975 წელს ბროშურაში „დინამო" თბილისი".



# მეთექვსმეტე სვეტი

● **კვიცი** გვარზე ხტისო — ამაზეა ნათქვამი სწორედ. თუმცა, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ლეგენდარული პელეს ვაჟიშვილი ედინიო მამის კვალს გაჰყვა და ფეხბურთის სათამაშოდ მიიწვია კლუბმა, სადაც თვით „მეფემ“ აიდგა ფეხი. ამიერიდან უმცროსი პელე — ედინიო „სანტოსში“ ითამაშებს. იგი დაიცავს ამ პოპულარული გუნდის კარს. წლეულს ოქტომბერში ედინიო „სანტოსის“ ახალგაზრდულ შემადგენლობაში ჩარიცხეს, სადაც გულმოდგინედ ვარჯიშობდა და კლუბის ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად არ ეცალა, ეს მისია იკისრა მამამ და, უნდა ითქვას, რომ შვილისთვის ხელსაყრელი კონტრაქტიც გააფორმა.

● **ერაყის** ფრენბურთის ფედერაციის განცხადებით, სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ასოციაციამ მხარი არ დაუჭირა წინადადებას ერაყის ამ ორგანიზაციიდან გარიცხვის თაობაზე. უფრო სწორად, საუდის არაბეთის, ქუვეითის, არაბთა გაერთიანებული საემიროების, კატარის, ბაჰრეინისა და ომანის დელეგაციათა კატეგორიულმა მოთხოვნამ ვერ შეაგროვა ხმების ორი მესამედი. როგორც ცნობილია, საერთაშორისო ფედერაციის გენერალური ასამბლეა, სადაც ეს საკითხი განიხილეს, ბრაზილიაში ჩატარდა.

● **აქამდე** ალბერვილის 1992 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წინაშე არ მდგარა ფინანსური პრობლემები და ფიქრობდნენ, რომ ამ მხრივ, მომავალშიც ყველაფერი რიგზე იქნებოდა. მაგრამ საბუღალტრო ანგარიშების შემოწმებისას გაირკვა, რომ კრუშველეს სათხილამურო ტრამპლინისა და ბობსლეის ტრასის მშენებლობა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე ორჯერ უფრო ძვირი დაჯდება. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა „მკაცრი ეკონომიის“ რეჟიმი დააწესა ყველა სახის ოლიმპიურ მშენებლობაზე.

● **იმ პერსპექტიულ** ჩოგბურთელთა შორის, რომლებმაც უახლოეს ხანს შეიძლება მიიქციონ მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება, შვეიცარიელ მარკ როსესაც ასახელებენ. მას მართლაც იდეალური სპორტული მონაცემები აქვს — 2 მეტრი სიმაღლისაა და ორივე ხელით უძლიერეს დარტყმებს ფლობს. როსეს 7 ნოემბერს 20 წელი შეუსრულდა. ორი წლის წინ შვეიცარიელ ჩოგბურთელს მსოფლიო კლასიფიკაციაში მხოლოდ 475-ე ადგილი ეკავა, წლეულს კი ლიონის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, ფინალში ცნობილი შვედი მატს ვილანდერი დაამარცხა და საერთაშორისო რეიტინგში 26-ე ადგილზე გადმოინაცვლა. წარმატებაც ამას ჰქვია!

● **დიდი ბრიტანეთის** ერთ-ერთმა უძლიერესმა ბირთვის მკვრელმა პოლ ედვარდსმა, გაზეთ „ტაიმსის“ ცნობით, ამ დღეებში მიიღო სამხედრო შეტყობინება და ერთ თვეში სპარსეთის ყურის ზონაში უნდა გაემგზავროს. ედვარდსი 31 წლისაა და სამხედრო სამსახური მას, თითქოს, არ უნდა უწევდეს. მაგრამ ბრიტანეთში მოქმედი კანონების თანახმად, კვალიფიციური მფრინავები საგანგებო აღრიცხვაზე იმყოფებიან, ედვარდსი კი სწორედ ამ რანგის სპეციალისტი გახლავთ. ედვარდსი ადრე ათჰიდელი იყო და პროფესია არც ისე დიდი ხნის წინ შეიცვალა. ამ ცოტა ხნის წინ, როგორც იქნა, საერთაშორისო შედეგი აჩვენა ბირთვის კვრაში, ახლა კი ვარჯიში უნდა შეწყვიტოს. მაგრამ სპორტსმენი არ ჰკარგავს იმედს. ჩემს ძირითად საქმიანობას სპარსეთის ყურის ზონიდან დაბრუნების შემდეგ გავაგრძელებო, — განუცხადა მან გაზეთის კორესპონდენტს.

# კვლავაც ინარჩუნებენ...

**მოსწავლეთა** საკავშირო სპარტაკიადაზე მიღწეული წარმატების შემდეგ ჩვენი ჭაბუკი კლასიკური სტილის მოჭიდავეები კვლავაც ინარჩუნებენ მოწინავე პოზიციებს საკავშირო სარბიელზე. ახლახან ტერნოპოლში გამართულ პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე იასპარეზა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ნაკრებმა გუნდმა. 54 კგ წონით კატეგორიაში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონმა ოზურგეთელმა დავით სირაძემ არავის დაუთმო პირველი ადგილი. 81 კგ წონაში მაყურებელმა „ქართული ფინალი“ — თბილისელ გოჩა ციციაშვილისა და ბათუმელ მუხრან ვახტანგაძის ორთაბრძოლა — იხილა, გაიმარჯვა გ. ციციაშვილმა. შარშანდელი საკავშირო პირველობის პრიზიორმა, თბილისელმა ბაკურ გოგიტიძემ შესანიშნავად ჩაატარა ყველა ორთაბრძოლა და მანაც პირველი ადგილი მოიპოვა (97 კგ). ბათუმელმა ჯემბულ ფუტკარაძემ (50 კგ) მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო მარჯომელმა გელა ლელაძემ — მეოთხე. „შევარდენის“ ნაკრები გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდა. პირველობაში გამარჯვებულებმა და პრიზიორებმა საკავშირო პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

# ყველა გზას... ჩინეთში მივყავართ

(დასასრული)

უფრო მაღალი ინის კულტურის ბევრი ელემენტით. ჯოუელებმა ინელთაგან გადმოიღეს დამწერლობა, ქრონოლოგიის სისტემა, არქიტექტურული სტილი, მისნობის წესები და რელიგიის ზოგიერთი ფორმაც. ჯოუელები აღიარებდნენ ინის დინასტიის კულტურულ მიღწევებს და თავს ინელთა მემკვიდრედ და მათ შთამომავლებად თვლიდნენ“. აი ძველ ჩინელთა კიდევ ერთი თვისება, რომელიც ბოლომდე გაჰყვებათ მათ შთამომავლებს — **მიმტევებლობა, შემგუებლობა სხვებისადმი...**

**აღმოსავლეთ ჯოუს** ეპოქა ცნობილია აგრეთვე როგორც „ხუთი ჰეგემონის“ („უბა“) ხანა, რადგანაც ამ დროს ძალზე გაძლიერდნენ და გაფართოვდნენ ცის, ჩუს, ცინის, ძინისა და იუეს სამთავროები. მათ გარდა, კიდევ არსებობდა 150-მდე პატარა სამთავრო. ეს ეპოქა „ხასიათდება ღრმა და მნიშვნელოვანი ცვლილებებით სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-სულიერ სფეროებში. ეს ცვლილებები განაპირობა რკინის აღმოჩენამ, რკინის იარაღის გავრცელებამ, ვაჭრობის ზრდამ, ქალაქთა განვითარებამ... იზრდება მოსახლეობისა და ქალაქების რიცხვი, ძლიერდება სამიწათმოქმედო და საწარმოო მეურნეობები, ხორციელდება ახალი სავარგულების ათვისება, ვითარდება ირიგაციის სისტემა. სოფლის მეურნეობის განვითარებამ წარმოშვა აზრი მის უპირატეს როლზე ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. არანაკლები ძალით ვითარდება აგრეთვე ხელოსნური წარმოება, ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას როგორც ცალკეულ სამეფოებში, ისე მათ მიღმაც. ეს პერიოდი საერთო ეკონომიკური აღორძინებით აღინიშნება“ (ლერი ალიმონაკი. წინასიტყვაობა წიგნისა „ლაო ძი. დაო დე ძინი“. თბილისი, 1990 წ.)

და მაინც, ეს იყო დასასრულის დასაწყისი.

ეკონომიკის განვითარებამ გაამძაფრა წინააღმდეგობანი როგორც სამთავროთა შორის, ისე თითოეულ მათგანში — მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორისაც. გვიანი აღმოსავლეთ ჯოუს ხანა (V-III სს.) — დაუსრულებელი ომების ეპოქაა. სამთავროები ეომებოდნენ როგორც არაჩინურ ტომებს, ისე ერთმანეთსაც: ომი საშუალება იყო სწრაფი გამდიდრებისა და მონათა დატყვევებისა. მაგრამ ეს ომები მძიმე ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას. ფილოსოფოსი მენ-ძი წერდა: მდიდრებსა და წარჩინებულებს „სამზარეულო ავსებული აქვთ მსუქანი ხორცით, ხოლო თავლებში ნასუქალი ცხენები უბიათ. ხალხი კი წელშია გაწყვეტილი და მინდვრებში შიმშილით დახოცილთა გვამები ყრია“. აჯანყებები, სისხლისღვრა ჩვეულებრივ ამბად იქცა. თავაშვებულ ვნებებს, სიხარბესა და პატივმოყვარეობას დაეპყრო მთელი საზოგადოება. ხალხი მხოლოდ პირად მიზნებს მორჩილებდა. აბუჩად იყო აგდებული მოკრძალება და კეთილგონიერება, არად ქცეულიყო ომი და კაცთა კვლა, დატაცება და ძარცვა. „უმაღლესმა პრინციპებმა დიდი ხანია დატოვეს იმპერია“.

მონათმფლობელობამ, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ფორმაციამ საკუთარი შესაძლებლობები ამოსწურა. მომზადდა ნიადაგი ახალი, უფრო პროგრესული ფორმაციისათვის.

**ცინის დინასტია** — პირველი ფეოდალური დინასტიაა. იგი ახერხებს ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარებას, მის ნაწილობრივ გაერთიანებას, აკანონებს სახელმწიფოს მართვის ცენტრალიზებულ სისტემას, განამტკიცებს ფეოდალურ მიწათსარგებლობას, აწესებს ფულისა და ზომა-წონის ერთეულებს. ამიერიდან სახელმწიფოს მმართველს იმპერატორი ეწოდება — „ცინ შიხუან“. უნდა ითქვას, რომ ფეოდალური სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ეს სისტემა იმდენად სრულყოფილი აღმოჩნდა, რომ თითქმის უცვლელად იარსება ორი ათას წელზე მეტი ხანი და უდიდესი როლი ითამაშა ფეოდალური ჩინეთის ისტორიაში. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ „ცისქვეშეთის“ თანამედროვე ქართული სინონიმი „ჩინეთი“ სიტყვა „ცინ“-იდან მომდინარეობს.

... ამის შემდეგ ერთი ჩინური დინასტია სცვლიდა მეორეს და ცნობილია, რომ ეს პროცესები პოლიტიკურად არცთუ უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ბ-ნი რეზო ყარალაშვილი, „მიუხედავად დინასტიების მონაცვლეობისა, ჩინური კულტურის განვითარება 15 საუკუნის მანძილზე (ე. ი. XIII საუკუნეში მონღოლთაგან ჩინეთის დაპყრობამდე — ი. ყ.) ოდნავადაც არ შეფერხებულა და განსაცვიფრებელი ერთგვაროვნებით ხასიათდება“. ამის მიზეზად მეცნიერი იმ კულტურულ მემკვიდრეობითობას თვლის, რომელიც შეინიშნებოდა ინსა და ჯოუს, ჯოუსა და ცინს და ცინსა და ხანს შორის. „ამიტომ სრული უფლებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ ძველ ჩინურ კულტურაზე, როგორც განუყოფელსა და ჰომოგენურ კულტურულ ერთიანობაზე“.

...როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIII საუკუნეში ჩინეთი მონღოლებმა დაიპყრეს. 1271 წ. ხანმა ხუბილაიმ დააარსა **იუანთა** დინასტია, ხოლო ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად ქ. დადუ (დღევანდელი პეკინი) აქცია.

სულ ასიოდე წელი გაძლო მონღოლურმა დინასტიამ. 1368 წელს იგი კვლავ ჩინურმა — **მინთა** დინასტიამ შეცვალა. რუსი სინოლოგები ს. ს. რაზოვი და გ. ს. ოსტროუმოვი თვლიან, რომ სწორედ ამ დინასტიის მმართველობის დროს დაიწყო ჩინეთში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვა — უპირველეს ყოვლისა, საფეიქრო მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით; ასე, მაგ: მარტო ქ. სუჯოუში ამ პერიოდში რამდენიმე ათასი საფეიქრო სახელოსნო იყო. მაგრამ მთლიანობაში, რა თქმა უნდა, ჩინეთში კვლავ დომინირებდა ნატურალური მეურნეობა, ფეოდალური ეკონომიკური ურთიერთობები.

1644 წელს მინთა დინასტია დამპყრობელ მანჯურიელთა დინასტიამ — **ცინის** დინასტიამ შეცვალა. ეს დინასტია მონღოლურზე დღეგრძელი აღმოჩნდა: მანჯურიელებმა შეძლეს თავიანთი ინტერესები ჩინელ ფეოდალთა ინტერესებთან შეეთანხმებინათ. დინასტიამ 268 წელი გაძლო და არსებობა მხოლოდ 1911 წელს — ეგრეთ წოდებული სინხაის რევოლუციის გამარჯვების შედეგად შეწყვიტა. ცინთა დინასტია უკანასკნელი მონარქიული დინასტია აღმოჩნდა ქვეყნის ისტორიაში: ჩინეთი რესპუბლიკად გამოცხადდა; მისი პირველი პრეზიდენტი გახდა სუნ იატსენი.

ჩინეთის ისტორიის მომდევნო პერიოდები ჩვენთვის ნაკლებ საინტერესოა და აქ მათზე არ შევჩერდებით.

**იური ყეინაშვილი,**
**სპეციალურად „ლელოსათვის“**

(გაგრძელება იქნება)

• • •

ჰონორარი გთხოვთ გადარიცხოთ საქართველოს დემოგრაფიულ ფონდში.

# დაფიქრება მართებთ

**აკრობატთა** საკავშირო პირველობაზე საქართველოს ნაკრები შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრა. ეს განსაკუთრებით გოგოებს ეხებათ, რომელთა უმრავლესობა პირველად მონაწილეობდა ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაში. ამიტომაც იყო, რომ ვერც ერთი ჩვენი გოგონა ვერ მოხვდა ფინალში და ძალზე ადრე გამოეთიშნენ ორთაბრძოლებს.

გოგოების წარუმატებელი გამოსვლების საკომპენსაციოდ ვაჟებმა იასპარეზეს შესანიშნავად. ხტომებში II ადგილი დაიკავა ალექსეი კონდრატიევმა, III — გია ხეთაგურმა. ვაჟთა ოთხეული — გელა შაროვი, მირიან ტოკლიკაშვილი, შალვა სამხარაძე და რევაზ ბაწაშვილი თავიდანვე ლიდერთა შორის იყვნენ და საბოლოოდ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მართალია, ჩვენმა წყვილმა — ზვიად ხუციშვილმა და ვახტანგ თოთლაძემ საპრიზო სამეულში მოხვედრა ვერ შეძლო, მაგრამ ისეთი მწვავე კონკურენციის პირობებში, როგორიც ვორონეჟის სააკრობატო დარბაზში იყო, მათ მიერ დაკავებული V ადგილიც გარკვეული წარმატებაა.

თუმცა ამ მიღწევებს, ცხადია, სულ სხვა ფასი ექნებოდა, პრიზიორთა შორის ჩვენი გოგოებიც რომ გვეხილა. ერთ კონკრეტულ ტურნირზე ნაწვნევი მარცხი (გოგონებს ვგულისხმობთ) იქნებ არც ღირდეს განგაშის ასატეხად, მაგრამ საქართველოში აკრობატიკის მესვეურთ დაფიქრება მაინც მართებთ, რათა სამომავლოდ ვაჟებს გოგოებმაც აუბან მხარი.

## „სპორტპროგნოზი“

**ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე შედგენილი „C-11“ სპეციალური ტირაჟის შედეგები**

**(10. X — 27. XI)**

1— 1, 2—X, 3—X, 4—X, 5—X, 6—1, 7—X, 8—X, 9—X, 10—X, 11—X, 12—X, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი პარტიის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

# გაზეთის დაბეჭდვის წინ

**მივიღეთ ცნობა იაპონიიდან, სადაც დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, სპორტის ამ სახეობის ფუძემდებლის ძიგარო კანოს პრიზზე. ქართველი ფალავნებიდან სოხუმელი ვლადიმერ დგებუაძე გავიდა საპრიზო ადგილზე. იგი მეხამე იყო 71 კგ. წონით კატეგორიაში. დაწვრილებით—„ლელოს“ უახლოეს ნომერში.**



# საით, პაპა ულრიხ!

**შეიძლება** თუ არა, ღრმა მოხუცებულობაში მწვერვალის დაპყრობა? ალპინიზმის ისტორიაში არის ასეთი რამდენიმე შემთხვევა. მათ შორის, ვინც მაღალი მთების მწვერვალზე სიბერეში შედგა ფეხი, არის 90 წლის ულრიხ ინდერბინდენი. მოხუცი ალპინისტი შვეიცარიის ქალაქ ზემატში ცხოვრობს. პაპა ულრიხი ამ დღეებში შვეიცარიის მთებში ერთ-ერთ მწვერვალზე ავიდა. ეს ასვლა მოხუცმა 1865 წელს ინგლისელ ედვარდ უიმპერომის მიერ ამ მწვერვალის დაპყრობის 125 წლისთავს მიუძღვნა.

**რედაქტორი**
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

საქართველოს სპორტსახკომი, რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია და „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საპატიო მსაჯი ფეხბურთში, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი, ვეტერანი ფეხბურთელი

**ოტია შალვას ძე ჟორდანია**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

საქართველოს მოჭადრაკეები თანაგრძნობას უცხადებენ დამსახურებულ მწვრთნელს შოთა ინწკირველს დედის

**ლუბა პავლეს ასულ ჟუჟუნაძის**

გარდაცვალების გამო.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე. მორიგეობდა გ. კორქია, კორექტორები ქ. ქავთარაძე და მ. ძეძამიძე.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,**
**„მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66485**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

**ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდება.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20